

NGO-ების შეფასებით, ხელისუფლების წარმომადგენლები პუტინის პროპაგანდას იზიარებენ

 netgazeti.ge/news/386181

ნინო ჩიჩუა



არასამთავრობო სექტორი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებს ეხმაურება.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში არის ნათქვამი, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან მეთერთმეტე წლისთავზე რუსეთის ფედერაცია ისევ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას და უხეშად არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მხარეებს შორის მიღწეულ შეთანხმებას. პარალელურად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ გრძელდება მავთულხლართებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმართვა, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, მათი მოტაცება, წამება და მკვლელობები.

“სამწუხაროა, რომ აღნიშნულის მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ვიწროპარტიულ ხედვებს სახელმწიფოს ინტერესებზე წინ აყენებენ და აგრძელებენ ისეთი განცხადებების გაკეთებას, რომლითაც ომის დაწყებაში საქართველოს წინა ხელისუფლებას ადანაშაულებენ. ამ გზით ისინი იზიარებენ ოკუპანტი სახელმწიფოს პრეზიდენტის, პუტინის პოზიციებს და ემსახურებიან რუსული დებინფორმაციის გავრცელებას”, – ნათქვამია განცხადებაში.

სამოქალაქო სექტორი მიუთითებს ტალიავინის დასკვნაზეც, რომლის მიხედვითაც რუსული სამხედრო ოპერაციის ოფიციალურ დაწყებამდე ცხინვალის რეგიონში უკვე შემოსული იყვნენ რუსული არმიის შენაერთები, რომლებიც არ სარგებლობდნენ

სამშვიდობო ძალების მანდატით, ხოლო 2008 წლის მაისში რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში სარკინიგზო ჯარების დანაყოფი შეიყვანა. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის განცხადებით, საქართველოს წინააღმდეგ ომის გეგმა რუსეთის გენერალურმა შტაბმა 2006 წელს შეიმუშავა.

“სამოქალაქო საზოგადოების კოალიცია “ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის” წარმომადგენლები მკაცრად ვგმობთ საქართველო-რუსეთის ომის მეთერთმეტე წლისთავზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. მოვუწოდებთ მათ, თავი შეიკავონ ისეთი პოზიციის დაფიქსირებისგან, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის ინტერესებს ემსახურება”, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ შემდეგი ორგანიზაციები:

- ღია საზოგადოების ფონდი
- მწვანე ალტერნატივა
- საქართველოს ატლანტიკური საბჭო
- ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
- საზოგადოება და ბანკები
- ადამიანის უფლებათა ცენტრი
- ცენტრი „ემპათია“
- კონსტიტუციის 42-ე მუხლი
- საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
- საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

აგვისტოს ომის 11 წლისთავთან დაკავშირებით დღეს განცხადებები გაავრცელეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა – პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, “ქართული ოცნების” პოლიტიკურმა მდივანმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა. მათ ყურადღება გაამახვილეს როგორც რუსეთის, ისე ქართული მხარის, კონკრეტულად კი, წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე.

ამავე თემაზე: